თბილისის კლდისუბნის ეკლესია

ქართველი ერის ისტორიაში მნიშვნელოვან მონაკვეთს ოცსაუკუნოვანი ქრისტიანული პერიოდი წარმოადგენს .

საუკუნეების მანძილზე ქართველმა ქრისტიანმა ააგო და მოხატა ტაძრები, მოჭედა ხატები, შექმნა საგალობლები, მოქარგა ფარდაგები და ჩადო ყოველივეში მშვენიერი სული , გამსჭვალული ღვთისა და ერის სიყვარულით, თუმცა მტრობა და შუღლი წვავდა და ანგრევდა სიწმინდეებს , მიუხედავად ამისა მაინც გადარჩა ქრისტიანული ხელოვნება .

განსაკუთრებით მძინე ხვედრი წილად ხვდა დედაქალაქის, თბილისის, ეკლესიებს. მოწამებრივი ცხოვრებით თბილისის კლდისუბნის წმ. გიორგის ეკლესიამაც საუკუნეები განვლო. კლდისუბნის წმ. გიორგის ეკლესია - ერთნავიანი დარბაზული ტაძარია. იგი ,,დედაციხის „ _ ,,კალა-ციხე-ქალაქის“ ჩრდილოეთ მხარეს , სოლოლაკის ქედის ქარაფზეა აღმართული და ადგილობრივი კლდის სუფთად დამუშავებული ქვის ლოდებითაა ნაგები . ქვები საძირკველთან სწორხაზოვნადაა დალაგებული .

აღმოსავლეთისა და სამრეთის კედლებში აგურისა და ფლეთილი ქვის რიგების მონაცვლეობა ჭარბობს. ჩრდილოეთის ფასადი მთლიანად აგურისაა, დასავლეთით კი აგურის კვადრატებში ჩასმული ფლეთილი ქვებისგან შემდგარი წყობაა გამოყენებული .

თანამედროვე ეკლესიის დარბაზის შიდა სივრცე ნახევარწრიული შეისრული კამარითაა გადახურული: იგი ეფუძნება ორ წყვილ , ერთსაფეხურიან ფართო პილიასტრსა და საბჯენ თაღებს . აღმოსავლეთით ტაძარს ვიწრო ნახევარწრიული აფსიდი აქვს დატანილი , რომელიც კონქით მთავრდება , თვით კონქის სივრცე შეისრული კამარითაა შეკრული. ეკლესიას ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან ორი შესასვლელი აქვს დატანილი . დასავლეთის თაღიანი კარის თავზე გოლგოთის ჯვარია გამოსახული , მის ზემოთ კი ,ფრონტონის ქვეშ , მცირე ზომის გოლგოთის ჯვარი .შესასვლელი თარაზულია და აგურის „ კბილანებისებრი“ რიგების არქიტრავითაა გაფორმებული . ტაძარი ნათდებოდა ვიწრო და მაღალი , გარედან ტოლგვერდა , თავმომრგვალებული სარკმლებით. ტაძრს აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ ფასადზე სამი სარკმელი აქვს დატანილი , დასავლეთით კი ერთი . სამხრეთ ფასადი კლდეს ებჯინება და სამხრეთ დასავლეთით ნიშისებრი სარკმლის ღიობი ამოქოლილია.

შიდა კედლები რიყის ქვითა და აგურის მონაცვლეობითაა ამოყვანილი , კამარა და თაღები კი ქართული აგურითაა ნაშენი . დარბაზის გრძივ კედლებს შეისრული თაღების მწკრივი მიუყვება . თაღი დასავლეთ კედელზეც გადადის , შეისრული წყობისაა სატრიუმფო თაღი , რომელსაც მაღალი შუბლი გააჩნია . საკურთხევლის აბსიდის ორივე მხარეს , ნიშების სახით სიცარიელეებია ,აქედან ზედა სათავსოში ასასვლელია მოწყობილი , ვიზუალურად, რამდენიმე სამშენებლო ფენა შეინიშნება . დარბაზული ტაძრის სახურავის ბურული * XVII საუკუნეში მოლურჯო- მონაცრისფრო მოჭიქული კრამიტით გადაუხურავთ.

არსებული ტაძარი თავდაპირველ გეგმაზე დაყრდნობით მეფე თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-ის მეფობის ხანას განეკუთვნება .საკულტო ნაგებობა ერთნავიანი გეგმითაა შემონახული ,ამასთან საკურთხევლის მკვეთრად გამოხატული ნალისებრი ფორმა , აღმოსავლეთის კედელზე მიდგმული სატრაპეზო , გამოვლენილი სტატიგრაფია და ისტორიული მოანცემები მის აშენებას V-VII საუკუნეებით ათარიღებს, (თბილისში არაბების დამკვიდრებამდე) რასაც ასევე მოწმობს

2007 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები ბ.ნ მერაბ ძნელაძის ხელმძღვანელობით, რომელმაც ძველი -ადრეული ეკლესიის საკურთხევლისა და კედლების ნაშთები გამოავლინა , იგი უფრო მომცრო ზომისაა და განსხვავებული არქიტექტურული გეგმარების.ძველი ეკლესიის დანგრევა კი არაბობის ექსპანსიის გაძლიერებას უნდა უკავშირდებოდეს .მისი აღდგენა მეფე დავითის IV ის მიერ სამეფო რეზიდენციის თბილისში გადმოტანის პერიოდს განეკუთვნება ,იგი მომცრო ზომის ორნავიან ეკლესიას წარმოადგენდა .ინტერიერში დარჩენილია ნალისებრი ფორმის ძველი საკურთხეველი ,რომელიც ოდნავ გადაშლილია და შვერილ აბსიდიან ეკლესიას წარმოადგენს . არსებული კლდოვანი რელიეფიდან გამომდინარე შესასვლელი მხოლოდ დასავლეთით ჰქონდა . იმავე პერიოდს განეკუთვნება დასავლეთის მხრიდან მინაშენიანი სატრაპეზოს ნაშთი,სადაც სატრაპეზოს კარი ჩრდილოეთ კედელში იყო ჩასმული . ადრეული მინაშენიანი ეკლესიის არსებობის პერიოდს კარგად განსაზღვრავს კედლების ნაშთების ზემოდან დაფიქსირებული XII-XIV საუკუნეების დროინდელი კერამიკული და ნუმიზმატიკური მასალა .

1753 წელს ეკლესია გადაუკეთებიათ. მოცულობა იზრდება ,საბოლოოდ შეიქმნა წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმის ერთნავიანი ბაზილიკა . აღსანიშნავია მშენებლობის ტექნიკა XVI-XVIII საუკუნეებში ქართლსა და კახეთში არსებული თანამედროვე ხუროთმოძღვრების ტრადიციას ესადაგება ,ხოლო XIX საუკუნის დასასრულს (რუსეთის იმპერიაში ყოფნის დროს) ეკლესიის განახლებისას, თაღში მრგვალი ჭრილი გაკეთდა და ზემოდან „ცრუ გუმბათი“ დაიდგა ,ხოლო სახურავის კეხის დასავლეთ კუთხეზე გუმბათისავე ფორმის ვიწრო სამრეკლო აიგო . 1923-88 წლებში , საბჭოთა პერიოდში, ღვთისმსახურება აკრძალული იყო.მასში განთავსდა სხვადასხვა არასაკულტო დაწესებულება : საწყობი,სამკერვალო , სპორტული დარბაზი,და ა.შ. 1989 წელს კი ეკლესიაში აღდგა მართმადიდებლური საეკლესიო მსახურება.შენობა და მიმდებარე ტერიტორია 2007 წელს გაიწმინდა ნაყარი ფენებისგან .

კლდისუბნის წმინდა გიორგის ეკლესიის შესახებ მწირი და აშკარად არასრულყოფილი მონაცემებია გავრცელებული . მოგვიანებით ჩნდება სამრეკლოს მაღლა ჩასმული ქართულ-სომხური წარწერა ,როგორც აღმშენებლის ისე განახლებისა და აგების თარიღის შესახებ . ეკლესიის აგების ადრეული თარიღის შესახებ მოგვითხრობს ე.წ. ისტორიკოსი- დავით კარიჭაშვილი ,რომელიც ეკლესიის აღმშენებლად მოიხსენიებს ვინმე სომეხ ბერს ხოლო აშენების თარიღად მიიჩნევს 1600 წელს . ლეონ მელიქსეტბეგის მიერ დ.კარიჭანაშვილის ხელნაწერის ანალიზის გარეშე გამოქვეყნებამ ჟურნალ „ჩვენი მეცნიერება“-ში (1923 წ) ,ბევრ უზუსტობას დაუდო საფუძველი .ამ უზუსტობის მიზეზი ქვეყნის საერთო ვითარება უნდა იყოს რაც მდგომარეობდა რუსეთის მიერ ქართული ეკლესიის დისკრედიტაციაში ,რაც ქართველთა გაგრიგორიანებასა და გასომხებას იმავდროულად ქართული მიწების სომხებისთვის გადაცემას უჭერდა მხარს .ამ პოლიტიკის შედეგიც სწორედ ის იყო ,რომ სადაც კი ხელი მიუწვდებოდათ ,ყველგან მიმდინარეობდა მასიური მიტაცება მართლმადიდებლური ეკლესიებისა . ამ მიზეზით ქართული ეკლესიების დიდი ნაწილი სომეხთა ხელში გადადის .1735 წელს ეკლესია ქართულ მართლმადიდებლურ ეპარქიას ეკუთვნოდა ,ამიტომაც ვ.ბატონიშვილი ტაძარს სომხურად არ მოიხსენიებს . არქეოლოგიური შესწავლით ყველაფერს ნათელი მოეფინა და როგორც ჩანს მოწამებრივი გზით მოიტანა თავი დღემდე ტაძარმა.

მიუხედავად ამ რთული წლებისა , დღეს ტაძარში ღვთისმსახურება ქართულ ენაზე მიმდინარეობს მამა მიქაელის წინამძღოლობით . მასთან საუბრისას ჩემთვის ნათელი გახდა მისი ღვაწლი . გულის ტკივილით მოიხსენიებს ყველა ზემოთ ხსენებულ ფაქტს .ტაძარში იგი 2002 წლიდან მსახურობს ,დიდი ხანი უშედეგოდ დაუთმო არქივებში ტაძრის შესახებ ინფორმაციის ძიებას ,ამბობს რომ ყველა წყარო გამიზნულად გააქრეს სომხებმა ,მაგრამ წყაროების არარსებობა არ გამხდარა მიზეზი უკან დახევისა . როგროც არქეოლოგმა მერაბ ძნელაძემ ჩემთან საუბრისას ბრძანა ,,მამა მიქაელმა არ დატოვა არცერთი მაღალი თუ დაბალი ინსტანცია , ყველგან ამტკიცებდა რომ ეს იყო მეექვსე საუკუნის ეკლესია და რომლის დამადასტურებელი ფაქტები აღმოჩნდებოდა ტაძრის ქვეშ. მამა მიქაელის დამსახურებაა ახლად დაწერილი ისტორია ტაძრისა, რომელიც სარკეა ჩვენი განწირული სულისკვეთების .

წინამძღოლთან ერთად მრევლიც აქტიურად ჩაერთო ტაძრის განახლებასა და კეთილმოწყობაში . დღემდე უანგაროდ იხატება ფრესკები ერთ-ერთი მათგანის მიერ. ტაძარს თავდაცვითი ფუნქციის გამო გარშემოსავლელი არ გააჩნდა ,დღეს ამ საჭიროების არქონის გამო გაიჭრა სამხრეთ ფასადს მიბჯენილი კლდე , გამოთავისუფლდა კლდის გული ,რომელსაც მიენიჭა თაღის ფუნქცია , დამშვენებული ორივე მხრიდან რელიეფური ბოლნური ჯვრებით , სწორედ ამ თაღს გავყავართ ტაძრის აღმოსავლეთ ფასადისკენ სადაც ულამაზესი ხელოვნური ჩანჩქერია . კეთილმოწყობილია ტაძრის მთლიანი ეზო ,მოკირწყლულია ტაძრის გარშემო ბილიკები , ჩრდილოეთით ტაძარს მიერთებულია სივრცე ,რაც ქმნის შესაძლებლობას დავტკბეთ ულამაზესი პანორამული ხედით . მამა მიქაელს იდეები არ ელევა და ცდილობს ახალი გზის გაჭრას სამხრეთ-აღმოსავლეთ კლდის ქიმიდან (სადაც საბაგირო გზა ამოდის) ტაძრამდე . ამისთვის საჭიროა მატერიალური მხარდაჭერა რადგან ტაძრის სახსრებით ეს ვერ ხერხდება .

დიდ პრობლემას წარმოადგენს დღემდე უსახური გუმბათი, რომელიც გარდა იმისა რომ სრულიად ამოვარდნილია მართლმადიდებლური კანონიკიდან , ამასთანავე შეუსაბამო და შფოთის შემტანი გარემოში , რომელსაც ქმნის მშვიდი ბაზილიკური არქიტექტურა .სამრეკლო კი ნაწილობრივ ჯდება კანონიკაში, რადგან საქართველოში მრავლად გვხვდება დასავლეთ ფასადის ფრონტონის თავზე დაშენებული ექვსი თაღით გახსნილი აგურის წრიული სამრეკლო (ქიწნისის ღვთისმშობლის ეკლესია,ძევარას წმ.გიორგის ეკლესია,ხელთუბნის სამება)იმ განსხვავებებით რომელსაც ქართულ ხუროთმოძღვრებაში წარმოადგენს სწორკუთხა თაღები და კონუსური სახურავი ,ხოლო კლდისუბნის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის სამრეკლო ხასიათდება წრიული თაღებითა და ასევე წრიული შეისრული გადახურვით .

ის რაც მე მიმაჩნია შეუსაბამოდ, ტაძარში მამა მიქაელმა თვითონაც არაერთხელ მიხსენა.მან კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიმართა თხოვნით გუმბათის დემონტაჟის შესახებ ,თუმცა უშედეგოდ ,რადგან ტაძარი თავისივე „გუმბათით“ სომხეთის ძეგლთა დაცვის სიაში შედის .

წმინდა გიორგი ადამიანის სიცოცხლის მფარველად ითვლება იგი კურნავს ყოველივე სენს, უზრუნველყოფს მტერზე გამარჯვებას. სწორედ საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზ.ნ ზვიად გამსახურდიას სიტყვებით შევთხოვ მას :

„ წმინდაო გიორგი,დიდების მხედარო

ვუმზერ შენს ხატებას და სული მხნედ არი!

შემუსრე უწმინდურ დრაკონთა ორგია

იხსენი სამკვიდრო შენი გეორგია ,

დიდების უფალი მართალთა მწედ არი,

წმინდაო რაინდო, გველი არ დაინდო

მოგვმადლე იმედი და უფლის სვე-დარი!“

<u>გამოყენებული ლიტერატურა</u> :

მ.ძნელაძე - „თბილისის ეკლესიების ბედი“